პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

18 ივლისი
სამშაბათი
1961 წ.
№ 101 (1737)
გამოცემის მე-17 წელი.
ფასი 3 კაპ.



მატჩი დამთავრდა საბჭოთა მძლეოსნების სასარგებლოდ

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). შეჯიბრების პირველმა დღემ, ევროპისა და მსოფლიოს ახალმა რეკორდებმა, კიდევ უფრო გაზარდა მძლეოსნობის მოყვარულთა ინტერესი. აშშ-სა და სსრ კავშირის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრის მეორე დღეს დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა.

წინა დღის სენსაციურ მოვლენათა მოწმენი გაცხარებით დაობდნენ განვლილზე, მაგრამ წინ იყო პროგრამის ის სახეობანი, რომლებიც შეჯიბრების ცენტრში იმყოფებოდნენ — ხტომები სიგრძესა და სიმაღლეზე. საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა ორი წყვილი: ბრუმელი-თომასი და ბოსტონი-ტერ-ოვანესიანი.

სტადიონის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური და მისი დამხმარე პუნქტები ვერ აუდიოდა კორესპონდენტებს. ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული 150 კორესპონდენტი ერთდროულად ცდილობდა ხაზის მიღებას. შეჯიბრების მეორე დღის პროგრამის დაწყებამდე მცირე დრო იყო დარჩენილი, გადასაცემი კი მათ უამრავი ჰქონდათ. ჩქარობდნენ სპორტული მიმომხილველები, ჩქარობდნენ მაყურებლებიც.

განახლდა „ყველაზე სწრაფი და ყველაზე მოქნილი" ადამიანების შეჯიბრება. ტრიბუნებზე სიწყნარე გამეფდა, მაგრამ მცირე ხნით, ვიდრე არ დამთავრდა ამ დღის პროგრამის პირველი სახეობა — თარჯრბენი 400 მეტრზე. ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ მაყურებლები ამერიკელი დ. ფარმერის გამარჯვებას — 50,5 წამი.

მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდნენ სექტორზე სიგრძეზე მხტომელი ქალები, ხოლო შემდეგ — 200 მეტრზე მორბენლები. სულ ორიოდე კვირის წინ ტ. შჩელკანოვამ ბერლინში გამართულ შეჯიბრებაზე აჩვენა 6,50 მ, მაგრამ ეს შედეგი მსოფლიო რეკორდად არ ჩაითვალა ძლიერი ზურგქარის გამო. შჩელკანოვა პირველსავე ცდაზე გადახტა 6,48 მ-ზე და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. გამარჯვებულს 8 სმ-ით ჩამორჩა ვ. უაიტი (აშშ), რომელმაც ეროვნული რეკორდი დაამყარა.

საათნახევრის დაწყებული იყო შეჯიბრება, როცა სიმაღლეზე ხტომის სექტორზე გამოიძახეს მსოფლიო რეკორდსმენი ვ. ბრუმელი, ექს-რეკორდსმენი ჯ. თომასი, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი რ. შავლაკაძე და აშშ-ს ჩემპიონი რ. ევანტი. შეჯიბრება დაიწყო. 2 მეტრი გამოტოვა ბრუმელმა. 205 სმ დაძლია ყველა მონაწილემ, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი არ იყო სათანადო ფორმაში. შავლაკაძე 210 სმ-ზე გამოაკლდა შეჯიბრებას. 2,16 მეტრზე სამივე ცდა უშედეგო ჰქონდა ევანტს. დარჩნენ ორნი: ამერიკელი და საბჭოთა სტუდენტები — ჯ. თომასი და ვ. ბრუმელი. ორივემ აიღო 219 სმ და ორივემ მოითხოვა თამასის სარეკორდო სიმაღლეზე — 224 სმ-ზე აწევა.

წვრილი, გარდამავალი წვიმა ხელს უშლიდა სპორტსმენებს. უშედეგოდ დამთავრდა სამივე ცდა ამერიკელისათვის, ხოლო ვ. ბრუმელმა თავისსავე მსოფლიო რეკორდს 1 სანტიმეტრი მოუმატა და გამარჯვებაც მასვე დარჩა.

ამ დღეს კიდევ ერთხელ შეასწორეს მსოფლიო რეკორდების ცხრილი. რ. ბოსტონმა მეორე ცდაზე დაძლია 8,28 მ, რაც 4 სმ-ით აღემატება მისივე მსოფლიო რეკორდს. ი. ტერ-ოვანესიანმა დაძლია 801 სმ.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ი. პრესის გამარჯვება 80 მ თარჯრბენში — 10,6 (სსრ კავშირისა და ევროპის რეკორდის განმეორება), ვაჟთა შორის 800 მ რბენაში ვ. სავინკოვმა შეძლო ახალი საკავშირო რეკორდის დამყარება. საკავშირო და ევროპის რეკორდი — 23,4 200 მეტრზე ქალთა რბენაში გაიმეორა მ. იტკინამ. თ. პრესმა მესამე ცდაზე ბირთვი ჰკრა 17, 25 მეტრზე და 97 სანტიმეტრით აჯობა გ. ზიბინს. 1.500 მ რბენაში უძლიერესი იყო ამერიკელი ჯ. ბეტი — 3.48,8, ხოლო ნ. სოკოლოვმა (საბჭოთა კავშირი) გაიმარჯვა 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში — 8.35,4. ბადრის ტყორცნაში ვაჟთა შორის ყველაზე კარგი შედეგი — 58 მ 46 სმ აჩვენა ჯ. სილვესტრიმ (აშშ). კიეველმა ი. კუტენკომ ათჭიდში მოაგროვა 7.715 ქულა (I ადგილი), ხოლო 5.000 მ რბენაში საბჭოთა გუნდს კიდევ ერთი პირველი ადგილი მოუტანა პ. ბოლოტნიკოვმა — 13.58,4.

დამთავრდა „საუკუნის მატჩი", დაცარიელდა სტადიონი. მსაჯებმა შეაჯამეს შედეგები. აღმოჩნდა, რომ ვაჟთა შეჯიბრებაში 13 ქულის უპირატესობით (124:111) გაიმარჯვეს ამერიკელებმა, ქალთა ბრძოლაში კი აშკარა იყო მასპინძელთა სიძლიერე, რომლებმაც 29 ქულით ჩამოიტოვეს მოწინააღმდეგენი (68:39). საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება საბჭოთა გუნდისაა — 179:163. ასეთია ძალთა საერთო შეფარდება ამ მატჩში. ამერიკელებმა მოიპოვეს 15, ხოლო საბჭოთა მძლეოსნებმა — 17 პირველი ადგილი.

ა. კალმახელიძე

* * *

სურათებზე: ზევით — ვ. ბრუმელი ასრულებს სარეკორდო ხტომას. ასე გადალახა 219 სმ ჯ. თომასმა. ქვევით — რ. ბოსტონი — მსოფლიო რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში.

კიდევ ერთი სანტიმეტრით

სოფიაში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ბალაშმა გადალახა 191 სმ-ს სიმაღლეზე მდებარე თამასა და კიდევ ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა მის მიერვე ამას წინათ ბუდაპეშტში დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 190 სმ.

საკავშირო პირველობა კალათბურთში

ვაჟები

რიგის არმიელთა გუნდი მიმდინარე წელს ორ დიდ შეჯიბრებაში გამოდის. ჯერ ერთი მან უნდა შეინარჩუნოს ევროპის ჩემპიონთა თასი, რომელიც ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" დააწესა და მეორე — სსრ კავშირის 1961 წლის პირველობა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა ევროპის ჩემპიონთა თასის პირველივე შეხვედრა წააგო თავის მოედანზე მოსკოვის ცსკა-სთან. ამ გუნდების მორიგი მატჩი ჩატარდება მოსკოვში და რევანშის აღება რიგელი კალათბურთელებისათვის, რასაკვირველია, დიდ სიძნელეს წარმოადგენს. არც სსრ კავშირის პირველობაზე გაუმართლდათ მათ. რიგელები პირველი წრის უკანასკნელ შეხვედრაში თბილისის „დინამოსთან" 4 მოგებითა და 2 წაგებით წარსდგნენ. დინამოელებს ერთი ქულით ნაკლები ჰქონდათ ამდენივე თამაშიდან. 40 წუთის განმავლობაში გაბედულად უტევდნენ ქართველი კალათბურთელები და შეხვედრაც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 66:60 (41:37).

საგრძნობლად განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა ცსკა-მ, როცა მორიგი დამარცხება მიაყენა ლენინგრადის „სპარტაკს"—73:32. მოსკოვის „დინამომ" მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს" — 67:64, კიევის სკიფმა — კაუნასის „ჟალგირისს" — 73:60, მოსკოვის „დინამომ" — ლენინგრადის „სპარტაკს" — 65:56.

* * *

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივლისისათვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ც ს კ ა	6	6	0	6
„დინამო" მ.	6	4	2	4
სკიფი კ.	6	4	2	4
„დინამო" თბ.	7	4	3	4
ს კ ა რ.	7	4	3	4
„ბურევესტნიკი" ლ.	4	2	2	2
„ჟალგირისი" კ.	6	1	5	1
„სპარტაკი" ლ.	7	0	7	C

ქალები

ტარტუ. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. მეორე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენდა ტარტუს უნივერსიტეტისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის და ევროპის თასის მფლობელის რიგის ტტტ-ს გუნდების მატჩი. მიუხედავად პირველი ნახევრის წაგებისა (26:33), ჩემპიონმა შეძლო ძალების მობილიზება და მიაღწია გამარჯვებას — 54:52.

მოსკოვის „ტრუდის" კალათბურთელებმა განიცადეს დამარცხება ლენინგრადის სკა-სთან — 50:66.

პირველი გამარჯვება მოიპოვეს მოსკოვის დინამოელებმა ლენინგრადის სკიფ-თან, რომლებმაც მოიგეს შეხვედრა — 55:52, ხოლო თბილისის „ბურევესტნიკი" დამარცხდა ლენინგრადის თანაკლუბელებთან.

თასის მისამართმა რუმინეთში გადაინაცვლა

გასულ შაბათს, მოსკოვის სპორტის სასახლეში ჩატარდა მეორე ფინალური მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. მოედანზე იყვნენ ცსკა (მოსკოვი) და „რაპიდი" (ბუქარესტი). მათი პირველი შეხვედრა დამთავრდა რუმინელთა სასარგებლოდ — 3:1. სტუმრებმა მეორე შეხვედრაშიც თამაშის მაღალი კლასი აჩვენეს და გაიმარჯვეს—3:2 (17:15, 9:15, 8:15, 15:8, 15:10). რუმინელმა ფრენბურთელებმა პირველად მოიპოვეს საპატიო პრიზი — ევროპის ჩემპიონთა თასი ფრენბურთში.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია
1961-1964 წლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი
(7:7 და 11:11) სათანრიგო მოთხოვნები

ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი — მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც დაიკავებს I-II ადგილს საკავშირო პირველობაზე ხელბურთში 11:11 ან 7:7, ან საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე,

ან

მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც იმავე შეჯიბრებებში დაიკავებს მესამე ადგილს ორჯერ სამი წლის განმავლობაში,

ან

მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც დაიკავებს I-II ადგილს საუწყებო სპარტაკიადებში, სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოებისა და რესპუბლიკურ პირველობებზე იმ პირობით, თუ მოცემულ შეჯიბრებებში მონაწილეობს ორი გუნდი, რომლებსაც წინა საკავშირო პირველობაზე ეკავათ I-II ადგილი,

ან

არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე მონაწილეობდეს გუნდში, რომელსაც წლის განმავლობაში მოპოვებული აქვს არანაკლებ ოთხი გამარჯვებისა სხვადასხვა გუნდებზე, რომელთა შემადგენლობის ორ მესამედს მოქმედი სპორტის ოსტატები შეადგენენ,

ან

შედიოდეს საბჭოთა კავშირის 22 უძლიერეს ხელბურთელთა (11:11) ან 16 უძლიერეს მოთამაშეთა (7:7) სიაში, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს საბჭოთა კავშირის ხელბურთის ფედერაცია.

I თანრიგი — მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველობაზე ხელბურთში (11:11 ან 7:7) დაიკავებს III-VI ადგილს ან წლის განმავლობაში მოიპოვებს სულ ცოტა სამ გამარჯვებას პირველი თანრიგის გუნდებზე და ხუთ გამარჯვებას II თანრიგის სხვადასხვა გუნდზე; ამასთან წლის განმავლობაში მონაწილეობდეს არანაკლებ საქალაქო მასშტაბის 12 ოფიციალურ შეხვედრაში,

ან

მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც დაიკავებს პირველ ადგილს მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაზე,

ან

შედიოდეს რესპუბლიკის 15 უძლიერეს ხელბურთელთა (11:11) ან 11 უძლიერეს მოთამაშეთა (7:7) სიაში, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებენ რესპუბლიკური ფედერაციები და მოსკოვისა და ლენინგრადის ხელბურთის სექციები.

II თანრიგი — შედიოდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც წლის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ საქალაქო მასშტაბის 12 ოფიციალურ შეჯიბრებაში (11:11 ან 7:7) და მოიპოვებს არანაკლებ სამი გამარჯვებისა მეორე თანრიგის სხვადასხვა გუნდზე ან ხუთ გამარჯვებას მესამე თანრიგის სხვადასხვა გუნდზე.

ან

მონაწილეობდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც დაიკავებს პირველ ადგილს მოზარდთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე.

III თანრიგი — შედიოდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც წლის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებს ნებისმიერი მასშტაბის 10 ოფიციალურ შეჯიბრებაში (11:11 ან 7:7) და მოიპოვებს არანაკლებ ოთხი გამარჯვებისა ნებისმიერო კვალიფიკაციის სხვადასხვა გუნდზე.

მოზარდთა I თანრიგი—შედიოდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელიც მონაწილეობს მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებებზე ან დაიკავებს I-III ადგილს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის პირველობებზე,

ან

შედიოდეს საშუალო და უფროსი ასაკის მოთამაშეთა გუნდის შემადგენლობაში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ საქალაქო და სარაიონო მასშტაბის სულ ცოტა 10 ოფიციალურ შეჯიბრებაში (11:11 ან 7:7) და წლის განმავლობაში მოიპოვებს სულ ცოტა 5 გამარჯვებას მოზარდთა I თანრიგის სხვადასხვა გუნდზე ან რვა გამარჯვებას მოზარდთა მეორე თანრიგის სხვადასხვა გუნდზე.

მოზარდთა II თანრიგი—შედიოდეს საშუალო და უფროსი ასაკის მოთამაშეთა გუნდის შემადგენლობაში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ნებისმიერი მასშტაბის რვა ოფიციალურ შეჯიბრებაში (11:11 ან 7:7) და წლის განმავლობაში მოიპოვებს სულ ცოტა სამ გამარჯვებას მოზარდთა მეორე თანრიგის სხვადასხვა გუნდზე ან ხუთ გამარჯვებას ახალბედათა გუნდებზე,

ან

შედიოდეს გუნდის შემადგენლობაში, რომელსაც წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს არანაკლებ 12 შეხვედრისა ნებისმიერი მასშტაბის სხვადასხვა ოფიციალურ შეჯიბრებაში.

მოზარდთა მეორე და მოზრდილთა მესამე თანრიგის მოთხოვნათა შესრულება ჩაითვლება შეჯიბრების გამარტივებული წესებით ჩატარების დროსაც.

თანრიგის დასამტკიცებლად — საჭიროა შესაბამისი თანრიგის მისაღებად დადგენილ გამარჯვებათა 50 პროცენტი და მონაწილეობის მიღება შეხვედრათა 50 პროცენტში.

დამატებითი მოთხოვნები. ზემოჩამოთვლილ მოთხოვნათა გარდა თანრიგის მისაღებად საჭიროა თამაშის ტექნიკის ნორმატივების შესრულება ოფიციალურად დანიშნული მსაჯის დასწრებით.

შენიშვნა: 1. სპორტსმენს ეთვლება ჩატარებულად თამაში, თუ იგი მონაწილეობდა მასში წესებით დადგენილი დროის არანაკლებ ერთ მეოთხედში (25 პროცენტი).

2. სათანრიგო მოთხოვნების შესრულება ეთვლებათ ყველა თანრიგში გუნდის მონაწილეებს, რომლებსაც ნათამაშევი აქვთ მოცემული შეჯიბრების კალენდრით გათვალისწინებულ შეხვედრათა 50 პროცენტი.

გუნდების დაყოფა თანრიგების მიხედვით

მოზრდილთა გუნდები იყოფა ოსტატთა I, II, III თანრიგისა და ახალბედათა გუნდებად. მოზარდთა გუნდები იყოფა მოზარდთა I-II და ახალბედათა გუნდებად.

გუნდის თანრიგიანობა დგინდება მოცემულ შეხვედრაში მისი კონკრეტული შემადგენლობის მიხედვით და განისაზღვრება მოცემული გუნდის მოთამაშეთა შემადგენლობის 65-70 პროცენტის თანრიგიანობით (იხ. სათანრიგო მოთხოვნები კალათბურთში).

სავარჯიშოები თამაშის ტექნიკაზე ხელბურთში

სავარჯიშო 1. მსაჯის სიგნალზე სპორტსმენი იწყებს ბურთის ტარებას ნებისმიერი ხერხით 50 მეტრის მანძილზე.

სავარჯიშო 2. ნებისმიერი ხერხით კარში სიზუსტეზე ტყორცნა 9 მეტრიდან 7:7 თამაშის დროს და 19 მეტრიდან 11:11 თამაშის დროს.

სულ სრულდება 12 ტყორცნა, სამი ტყორცნა თვითეულ კუთხეში: მარცხენა ზედა და ქვედაში, მარჯვენა ზედა და ქვედაში.

შენიშვნა: კუთხის აღსანიშნავად იღებენ ერთ მეტრს გვერდითი ბოძებიდან 11:11 თამაშის დროს და 50 სანტიმეტრს 7:7 თამაშის დროს.

სავარჯიშო 3. ტყორცნები სიშორეზე ნებისმიერი ხერხით 7 მ სიგანის დერეფანში. სპორტსმენი ასრულებს 5 ტყორცნას, რომელთაგან 3 ჩასათვლელია.

ტექნიკური და სპეციალური მომზადების ნორმები

თანრიგი	რბენა 100 მ (წამებში)		I ვარჯიში (წამებში)		მე-2 ვარჯიში (მოხვედრათა რაოდენობა)		მე-3 ვარჯიში მანძილზე ტყორცნები (მეტრებში)	
	ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები	ვაჟები	ქალები
სპორტის ოსტატი	12,4	13,6	7,0	8,0	11	11	48	38
I	12,7	14,0	7,3	8,3	10	10	43	33
II	13,0	14,4	7,6	8,6	9	9	40	30
III	13,2	14,6	8,0	9,0	8	8	38	28
მოზარდთა I	13,4	15,0	8,2	9,2	8	8	38	28
მოზარდთა II	13,6	15,2	8,4	9,4	7	7	35	26

სპორტულ საზოგადოებებში

„სპარტაკი"

საზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭო ატარებს ტექნიკუმებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადას, რომელიც შემდეგ ეტაპებად არის დაყოფილი: I ეტაპი ითვალისწინებს ტექნიკუმებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შიდა სპარტაკიადებს, II ეტაპი — სარაიონო და საქალაქო სპარტაკიადებს, III ეტაპი — რესპუბლიკურ სპარტაკიადებს, საკავშირო სპარტაკიადის დასკვნითი ეტაპი — ფინალი შედგება ქ. მოსკოვში.

უკვე ჩატარდა ქ. თბილისის ტექნიკუმებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ტანვარჯიში, ველორბოლა (გზატკეცილი), ცურვა, მძლეოსნობა, სროლა, ფრენბურთი და კალათბურთი. საქალაქო სპარტაკიადაში მონაწილე ტექნიკუმებისა და სასწავლებლების გუნდები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად.

I ჯგუფში საერთო პირველი ადგილი მოიპოვა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმმა. II ჯგუფში — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმმა.

მ. ნამიჭეიშვილი

„განთიადი"

ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა სპორტსაზოგადოება „განთიადის" თელავის რაიონული საბჭოს მესამე სპარტაკიადა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა წინანდლის ღვინის ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

ნ. ცერცვაძე

★

ამას წინათ სოხუმში გამართულ მესტენდურეთა რესპუბლიკურ პირველობაზე ადგილიდან სროლაში ჩემპიონობა მოიპოვა თბილისელმა ზ. მაჩხანელმა.

სურათზე: ზ. მაჩხანელი (წინა პლანზე) სოხუმის სტენდზე.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

★

ბათუმელ ჟურნალისტთა გამარჯვება

ბათუმში დამთავრდა აჭარის დედაქალქის კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ფიზკულტურული კოლექტივების V სპარტაკიადა ექვს სახეობაში (ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიით სროლა, კალათბურთი და ფრენბურთი).

პირველი ადგილისათვის ბრძოლა ჭადრაკში ძირითადად მიმდინარეობდა ჟურნალისტებისა და ბათუმის მუსიკალურ სასწავლებლის გუნდებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი მათ შორის მოიგო სასწავლებლის კოლექტივმა, ჟურნალისტებმა ძლიერად ჩაატარეს დანარჩენი შეხვედრები და 37,5 ქულით 45-დან მაინც პირველი ადგილი დაიკავეს.

მოპოვებული ლიდერობა ჟურნალისტებმა განიმტკიცეს შაშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ტყვიით სროლაში—მეორე ადგილების, ხოლო ფრენბურთსა და კალათბურთში მესამე ადგილების დაკავებით.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა დარჩათ ბათუმელ ჟურნალისტებს, მეორე ადგილზე გამოვიდა აჭარის კომკავშირის საოლქო კომიტეტის გუნდი.

პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს: ს. რუბანოვმა, რომელმაც ჭადრაკში პირველ დაფაზე 9-დან 9 ქულა მოაგროვა, ხოლო შაშში 6-დან—6. რ. ფალავანდიშვილმა და გ. ლორთქიფანიძემ მცირეკალიბრიანი შაშხანიდან მოაგროვეს 95 და 92 ქულა 100-დან თვითეულმა.

ვ. მოსეშვილი

ჩვენი სტუმრები

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში ამერიკელი შტანგისტები გამართავენ თავიანთ მეოთხე მატჩს საბჭოთა ძალოსნებთან, მანამდე მათ მესამე მატჩი ჰქონდათ კიევში და მესამე დამარცხება განიცადეს — 1:6.

მჩატე წონაში ამერიკელმა ვინჩიმ ერთ-ერთ მოძრაობაში „0“ შეფასება მიიღო და პირველობა ულიანოვს დაუთმო, რომელმაც სამჭიდში 327 კგ მოაგროვა.

ქვემსუბუქ წონაში ბერგერმა (352,5 კგ) დაამარცხა რუდენკო. ეს იყო ამერიკელთა ერთადერთი გამარჯვება. მსუბუქსა და ქვესაშუალო წონებში ამერიკელებს არც ამჯერად ყოლიათ მონაწილე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საბჭოთა სპორტსმენ რ. პლუკფელდერისა და რიკეს ორთაბრძოლა. პლუკფელდერმა (სამჭიდში აჩვენა 460 კგ) აკრა 170 კგ, დაამყარა საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი და გაიმეორა მსოფლიო რეკორდი. საბჭოთა სპორტსმენების — მირონენკოსა და რომანენკოს გამარჯვებით დამთავრდა შეხვედრები ქვემძიმე და მძიმე წონებში. პირველმა მოაგროვა 450, მეორემ — 475 კგ.

კიევიდან თბილისში ჩამოსული ამერიკელი შტანგისტები გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, იყვნენ თბილისის ზღვაზე, ჩაატარეს საწვრთნელი ვარჯიშები. „შესანიშნავი რამ ყოფილა თბილისი. ასეთი სილამაზის ქალაქი იშვიათად მინახავს. აღტაცებული ვარ მასპინძელთა გულისხმიერებით“, — განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯ. ჯონსმა.

* * *



სურათზე: ჩვენი სტუმრები, ამერიკელი შტანგისტები, მარცხნიდან — ჩ. ვინჩი, ჯ. ჯონსი, ს. ჰენრი, ი. ბერგერი, ლ. რიკე და ბ. მარჩი.

ფოტო ა. ვართანოვისა.

გადამწყვეტ პარტიაში

ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს ფრენბურთელთა საერთაშორისო მატჩები



პრაღის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების ფრენბურთელები ძლიერი და გამოცდილი სპორტსმენები არიან. საკმარისია ითქვას, რომ ქალთა გუნდში 8 ფრენბურთელი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია, ვაჟთა გუნდში კი — 3 ვერცხლის მედალოსანია. ამიტომ ეს შეხვედრა თბილისელი ფრენბურთელებისათვის სასარგებლო იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუმრებმა წარმატებით ჩაატარეს მატჩები ლენინგრადში, ნათელი გახდება ის ინტერესი, რომელიც თბილისელებმა ამ შეხვედრებისადმი გამოიჩინეს.

შეხვედრის პირველი დღე სტუმრების წარმატებით წარიმართა. ქალთა გუნდმა მოუგო თბილისის „ბურევესტნიკს“ — 3:1 (15:10, 13:15, 15:7, 15:8). ვაჟთა გუნდებს შორისაც გამარჯვებული სტუმრები აღმოჩნდნენ — 3:0 (16:14, 15:9, 15:10).

კვირას სტუმრებს მასპინძლობა გაუწიეს თბილისის ნაკრებმა გუნდებმა. თბილისის ქალთა გუნდმა ვერაფერი ვერ დაუპირისპირა გამოცდილ და ტექნიკურ მოწინააღმდეგეებს და წააგეს 0:3 (10:15, 8:15, 9:15).

საინტერესოდ წარიმართა ვაჟების შეხვედრა. თბილისელებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს წინადღის მარცხიდან. პირველ მატჩში თბილისელები გაიტაცა ბადესთან თამაშმა და ყურადღება არ მიაქციეს უკანა ხაზს. გარდა ამისა, პრაღელები ბრწყინვალედ იყენებდნენ ნელ და ცრუ დარტყმებს სწორედ უკანა ხაზის ცარიელ ადგილებში და ამ ფანდით მათ 28 ქულა დააგროვეს. თბილისელებმა კი მხოლოდ ორჯერ მიმართეს ამ ეფექტურ საშუალებას.

გუშინ კი თბილისელები უფრო ყურადღებით თამაშობდნენ, მოახერხეს მჭიდრო ბლოკის ორგანიზება და შეტევის გამრავალფეროვნება. სწორედ ამან განაპირობა კიდეც შეჯიბრების მიმდინარეობა. ამის მიუხედავად თბილისელებმა წააგეს პირველი პარტია (8:15), მაგრამ მეორე და მესამე პარტიები კარგად ჩაატარეს (15:10, 15:13). მეოთხე პარტია კვლავ სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 15:7.

და აი, იწყება მეხუთე — გადამწყვეტი პარტია. მასპინძლები სწრაფად მიიწევენ წინ — 9:3. და სწორედ ამ დროს, როცა გამარჯვება ეჭვს არ ბადებდა, პრაღელებმა თბილისელებს ახალი სიურპრიზი შესთავაზეს. ბურთის მიწოდებაზე გადის მილან პოსპიშელი: მისი მაღალი და მოჭრილი ბურთების აღებას თბილისელები ვერაფრით ვერ ახერხებდნენ. როცა პოსპიშელი სათადარიგოთა სკამზე დაჯდა, ანგარიში 11:9 იყო პრაღელთა სასარგებლოდ. ამ უეცარი შეტევისაგან გაოგნებული თბილისელები, როგორც იქნა გამოფხიზლდნენ და თამაშიც გაათანაბრეს. თუმცა ანგარიში რომ 11:11 გამხდარიყო, ამას დიდი დრო დასჭირდა. ამის გაკეთება შეძლეს ვ. კაჭარავამ და ვ. გეგრილეიკამ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ სტუმრები გავიდნენ წინ — 13:11. ისეთი მთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სტუმრები გამარჯვებისაგან შორს არ იყვნენ. ამაში მათ ჩეხი მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი იაროსლავ ელინეკიც ეხმარებოდა. მაგრამ ჩვენი სპორტსმენები არაობიექტურმა მსაჯობამ ვერ შეაშინა, ისინი მტკიცედ იბრძოდნენ თვითეული ქულის მოპოვებისათვის. თბილისელთა კაპიტანი ი. ბოიკო ზედიზედ ორჯერ იგებს ქულას და ანგარიშიც თანაბრდება 13:13. პარტიის დასკვნით ეტაპზე შესანიშნავად თამაშობდნენ აგრეთვე ვ. კუზნეცოვი, ბ. ცალოევი, ს. ბუინოვი და ა. ყიგულინი. მოთამაშეებმა დაამთავრეს მთელი წრე, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. თამაში უფრო დაძაბული ხდება: სპორტის დამსახურებული ოსტატის ზდენეკ ხუმხალის ძლიერი დარტყმა მიზანს არ აღწევს და ანგარიში თბილისელებს მიჰყავთ — 14:13. ერთი ქულა აშორებდა თბილისელებს გამარჯვებისაგან და აი, ვ. კაჭარავას ძლიერად დარტყმული ბურთი ეხება იოზეფ სტოლარჟიკს, აუტი... გამარჯვება 15:13! მაყურებლები აღფრთოვანებით უკრავენ ტაშს. უხარიათ თავისი გუნდის წარმატება. მაგრამ რა მოხდა? მსაჯი ბურთს აძლევს ჩეხებს იმ მოტივით, რომ თითქოს ბურთი არ შეხებია სტოლარჟიკს! არც ამან შეაკრთო თბილისელი სპორტსმენები და ეს ძალზე მძიმე მატჩი მაინც გამარჯვებამდე მიიყვანეს — 20:18!

მართალია, თბილისელები გამარჯვებული გამოვიდნენ ამ საინტერესო ორთაბრძოლაში, მაგრამ მაინც გვინდა ვურჩიოთ ზოგიერთი რამ: საჭიროა, რომ თბილისელებმა გაბედულად და ხშირად გამოიყენონ ნელი და ცრუ დარტყმები, უფრო მრავალფეროვნად ითამაშონ თავდასხმაში. ამ მხრივ ზემოაღწერილი ორი მატჩი ჩეხებთან მეტად სასარგებლოა.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სურათზე: თბილისელი ვ. კაჭარავა ძლიერი დარტყმით ბურთს აგზავნის მოწინააღმდეგის ნახევარზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

„მეტალურგი“ (რუსთავი) - „ტექსტილშჩიკი“ (კიროვაბადი) — 0:2

რუსთავის „მეტალურგის“ ფეხბურთელებმა თავიანთ მოედანზე ჩაატარეს I წრის ბოლო მატჩი საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონაში. მათი მოწინააღმდეგე იყო კიროვაბადის „ტექსტილშჩიკი“.

„მეტალურგმა“ პასიურად დაიწყო თამაში და საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს ხელთ აეღო ინიციატივა. ცუდად თამაშობდნენ თავდამსხმელები, ხოლო დაცვა ხშირად უშვებდა შეცდომებს, რის გამოც სრული დატვირთვით მოუხდა თამაში მეკარე ადამოვს.

30-ე წუთზე მასპინძელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. იგი კარგად გამოიყენა „ტექსტილშჩიკის“ თავდამსხმელმა მიკუჩაძემ და გახსნა ანგარიში — 1:0. ამის შემდეგ კიროვაბადელებმა ახალი ძალით გააძლიერეს შეტევები და მურატოვმა კიდევ ერთხელ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 2:0.

მეორე ტაიმში რუსთავის ფეხბურთელებმა ერთგვარად გამოასწორეს თამაში. „ტექსტილშჩიკის“ კართან შეიქმნა კიდეც რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ ქოჩიაშვილმა და რამიშვილმა ვერ გამოიყენეს ისინი.

მატჩი მოიგო კიროვაბადის „ტექსტილშჩიკმა“ ანგარიშით 2:0.

რ. ხარატი

ტურისტთა ქარავნებსა და რაიონებში

ბორჯომი

ბორჯომის მ. კალინინის სახელობის მუშის ქარხნის ფიზკულტურულმა საბჭომ განიზრახა ტურისტული ლაშქრობის ჩატარება და დახმარებისათვის მიმართა ბორჯომის ტურისტთა ბაზას, რომელმაც მოლაშქრეებს გამოუყო საჭირო ინვენტარი, შეურჩია მარშრუტი: ბორჯომი — დვირი — ჰობისხევი — დაბაძველის ტბები — ბორჯომი.

ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ქარხნის 25 მუშა-ფიზკულტურელმა. მათ დაათვალიერეს რაიონის სამხრეთ-დასავლეთის მდიდარი ბუნება, გაეცნენ დვირისა და ჰობისხევის კოლმეურნეთა საქმიანობას, ესაუბრნენ მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მნიშვნელობაზე. დაბაძველის ტბის მიდამოებში ჩაატარეს შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში, სადაც 10 სპორტსმენმა შეასრულა III თანრიგის ნორმატივი, გამარჯვებულმა ნ. ხარატიშვილმა კი 90 ქულა მოაგროვა 10 გასროლით.

შემდეგ მოეწყო 350 მ სიგანის ტბის გაცურვა, აქ ძალები სცადა 17 სპორტსმენმა. ტბასთან გაშლილ ბანაკს ეწვივნენ ჰობისხეველი მწყემსები და ფერმ-ს მუშაკები.

სამდღიანმა ლაშქრობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მეშუშეებზე და კიდევ უფრო გაზარდა მათი ამ სახეობით დაინტერესება.

ა. გელაშვილი

ქვაისი

ქვაისში ამას წინათ ჩატარდა აღგილობრივი და ონის სპორტსმენთა ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში, გამარჯვება მოიპოვეს ონელმა მოჭიდავეებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ დაბა ქვაისში ეს იყო პირველი სპორტული ღონისძიება.

დ. ბერიშვილი

ქუთაისელებმა გაიმარჯვეს

უკანასკნელი ტურის მატჩები ქ. გორში ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის გაიმართა 15 და 16 ივლისს.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი — ქუთაისის „ტორპედო“ და არმავირის „ტორპედო“. ქუთაისელებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ პირველი ადგილის მოპოვებისათვის. მათ დიდი აღმავლობით ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 3:1. ტორპედოელებმა მოიპოვეს მეტად საჭირო 2 ქულა, რითაც საკავშირო გათამაშების IX ზონაში პირველი ადგილი დაიკავეს (მწვრთნელი კ. ხურციძე).

მეორე ადგილისათვის მებრძოლმა ბათუმის „დინამომ“ უკანასკნელი შეხვედრა ჩაატარა ერევნის „ნაირთან“. თამაშის პირველ ნახევარში დინამოელებმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გახსნეს ანგარიში. მეორე ტაიმში ბათუმელთა მეკარის შეცდომის შედეგად ერევნელებმა ანგარიში გაათანაბრეს და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ბათუმის „დინამოს“ ნორჩმა ფეხბურთელებმა დაიკავეს მეორე ადგილი.

როსტოვის არმიელთა გუნდი შეხვდა ლენინაკანის „შირაქს“, დაამარცხა იგი ანგარიშით 2:0 და გამოვიდა მე-3 ადგილზე.

გორის სპორტკავშირის, „დინამოს“ საბჭოსა და ბამბეულის კომბინატის მიერ დაწესებული იყო 4 პრიზი საუკეთესო ფეხბურთელისათვის. საქართველოდან პრიზები მოიპოვეს ქუთაისის „ტორპედოს“ ნახევარმცველმა დავლიანიძემ და ბათუმის „დინამოს“ მცველმა ჩხეიძემ.

IX ზონაში გამარჯვებული ქუთაისის „ტორპედო“ ნახევარფინალური მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრება ქ. დერბენტს.

გ. აკობაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ლელო
მე-3 გვ. № 101 (1737)

ᲣᲡᲘᲫᲧᲕᲝᲓ...!.

ᲣᲣᲠᲜᲐᲚ „ᲜᲝᲘᲔᲡ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲔᲠ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲘᲠᲘᲢᲔᲓᲐᲜ“.

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ — ᲡᲐᲞᲐᲞᲘᲢᲘᲛᲠᲝᲨᲘ

როგორც ბულგარული გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ იუწყება, პორტუგალიის დიქტატორის სალაზარის პოლიციამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა იმ სპორტსმენთა მიმართ, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ანგოლის ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის სისხლში ჩახშობის ცდების წინააღმდეგ. პოლიციამ დააპატიმრა „აკადემიკ კომბრას“ 4 ფეხბურთელი და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „ბენფიკას“ წამყვანი ფორვარდი სანტანა.

ბათუმის I-ლი საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის დავალებით ვ. თალაკვაძე გვეკითხება: რამდენი საბჭოთა მოჭადრაკე დაიშვება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში?

პრეტენდენტთა ტურნირს, რომელიც 1962 წელს გაიმართება, წინ უსწრებს საზონათშორისო ტურნირი. ეს შეჯიბრება გაიმართება წელს, მაგრამ სად, საერთაშორისო საჭ. დრაკო ფედერაციას ეს ჯერ არ დაუდგენია. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირველობაში ოთხი გამარჯვებული მოჭადრაკე: ტ. პეტროსიანი, ვ. კორჩნოი, ე. გელერი და ლ. შტეინი.

პრეტენდენტთა ტურნირში პერსონალურად დაშვებული არიან მ. ტალი და პ. კერესი, როგორც წინა ტურნირში გამარჯვებულნი.

მსოფლიოს პირველობის გათამაშების დებულებით პრეტენდენტთა ტურნირში დაიშვება მხოლოდ 4 საბჭოთა მოჭადრაკე, ე. ი. საზონათშორისო ტურნირიდან 6 გამარჯვებულთა შორის, რომლებმაც პრეტენდენტთა ტურნირში უნდა ითამაშონ, შეიძლება იყოს მხოლოდ ორი საბჭოთა მოჭადრაკე. ცხადია, დაიშვებიან ისინი, რომლებიც უმაღლეს ადგილებს დაიკავებენ.

„რა შეჯიბრებაა ბალტიის რეგატა?“ გვეკითხება ჩვენი გაზეთის მკითხველი ა. იაკოვენკო რუსთავიდან.

ბალტიის რეგატა არის აფროსანთა შეჯიბრება, სადაც გამარჯვებისათვის იბრძვიან სხვადასხვა კლასის ნავები. პირველი ასეთი შეჯიბრება გაიმართა 1945 წელს ლენინგრადში, სადაც მონაწილეობდა სამი გუნდი. გასულ წელს გაიმართა ბალტიის მე-12 რეგატა რიგაში, მაშინ დისტანციაზე გამოვიდა 132 სპორტსმენი. სულ ახლახან ტალინში გაიმართა მე-13 რეგატა.

პენსიონერს ხობის რაიონიდან ე. ალანიას აინტერესებს რა განსხვავებაა ძველ და ახალ ოლიმპიურ თამაშებს შორის.

ახლანდელ ოლიმპიურ თამაშებს ანტიკურთან შედარებით ორი უპირატესობა აქვს — იგი უფრო საერთაშორისო ხასიათისაა და თამაშების ჩატარების ადგილები იცვლება რეგულარულად, მაშინ, როცა ანტიკური ოლიმპიური თამაშები იმართებოდა ყოველთვის საბერძნეთში და ნაკლებად მასობრივი იყო.

გთხოვთ გვიპასუხოთ: რომის ოლიმპიადაზე გამარჯვებულ ქალთა შორის ვინ იყო ყველაზე ახალგაზრდა, ვინ ხნიერი და როგორია მათი შედეგები? — გვწერენ გურჯაანელები ი. გოგიაშვილი და ა. ბასილაშვილი.

ყველაზე ახალგაზრდა იყო 100 და 200 მ რბენაში გამარჯვებული ვ. რუდოლფი (20 წლის), რომელმაც შესაბამისად აჩვენა 11,3 და 24,0. თუმცა რუდოლფს 200 მეტრზე რბენაში უკეთესი შედეგი ჰქონდა წინასწარ გარბენში (23,2), რაც ახალი ოლიმპიური რეკორდია.

„უხუცესი“ იყო ფიზკულტურის ინსტრუქტორი საბჭოთა კავშირიდან ნ. პონომარიოვა (31 წელი), რომელმაც გაიმარჯვა ბადროს ტყორცნაში — 55,10 მ (ახალი ოლიმპიური რეკორდი).

თბილისის რესტორან „დარი ლუ“ თანამშრომლები შ. ამირიძე და ვ. ბოჭორიშვილი გვეკითხებიან: თამაშობდა თუ არა ფეხბურთელი ა. ლოლობერიძე ოდესმე თბილისის „დინამოში“ მარჯვენა შუამარბად?

თამაშობდა.

ამხ. ჯ. ფოცხიშვილი ქ. ნოვოსიბირსკიდან გვეკითხება: არის თუ არა რაიმე ახალი ცნობა „თოვლის კაცის“ შესახებ?

„თოვლის კაცის“ საძებნელად პამირში გაიგზავნა სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე ექსპედიცია, რომლებმაც ჯერჯერობით ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს. ამ ბოლო ხანებში გამოთქვამენ აზრს, რომ „თოვლის კაცი“ საერთოდ არ არსებობს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი რ. გოგოხია გვეკითხება: „ქართველ სპორტსმენთაგან ვის მიენიჭა პირველ-დ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება?“.

საქართველოს სპორტსმენთაგან სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება პირველად, 1936 წელს მიენიჭა ერთდროულად სამ სპორტსმენს, ესენი იყვნენ გ. ეგნატაშვილი, დ. იოსელიანი და გ. რცხილაძე.

ხაშურელ მძლეოსნობის მოყვარულებს კ. ნოზაძესა და ა. გრიგაშვილს აინტერესებთ: სად და რომელ წელს დაიბადა ვ. ბრუმელი, როდის შეასრულა ოსტატობა, ვინ იყო მისი პირველი მწვრთნელი.

მსოფლიო რეკორდსმენი ვ. ბრუმელი დაიბადა 1942 წლის 14 აპრილს ჩიტის ოლქის სოფელ ტოლბუხინოში.

სიმაღლეზე ხტომაში მისი პირველი მწვრთნელი იყო ლუგანსკელი პ. შეინი (ბრუმელების ოჯახი 1954 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა ლუგანსკში), ხოლო ამჟამად მას ამზადებს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. დიაჩკოვი, ბრუმელმა სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა 1959 წელს.

ᲤᲐᲠᲡᲚᲘᲡ ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ

(გეოლოგიურ-ლენინგრადელ — ტრსრტ-ელ) — ეს ბევრი მეოცლება თეატრისადმი ... ...